
ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი

ახლახან, გამომცემლობა **„ინოვაციამ“** გამოსცა **ნოდარ ჭითანავას** და **ლარისა თაკალანძის** მონოგრაფია – **სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება** (I ნაწილი).

მონოგრაფია სოციალური ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების პრობლემებს ეძღვნება. ამ კონტექსტში კომპლექსურად და ერთიანი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომითაა განხილული და გაანალიზებული საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები, დაშვებული შეცდომების (თეორიულ-პოლიტიკური, თეორიულ-ეკონომიკური, თეორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი, თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომები) განმსაზღვრელი გარე და შიდა ფაქტორები. ამასთან, ახსნილია ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის წინააღმდეგობრივი ხასიათი – ცალკეულ ეტაპზე გამოცოცხლებისა და დაქვეითების ტენდენციები, საბაზრო მექანიზმის სპონტანურად დამკვიდრება და სამამულო წარმოების დაცვის ეპიზოდური მცდელობები, ჩრდილოვან ეკონომიკასთან დეკლარირებული ბრძოლა და ეროვნული სიმდიდრის ძარცვის მოტივაციის აღზევება, სახელმწიფო ეკონომიკური როლის მინიმიზაციის კურსი და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელობის გაცნობიერება, შიდა ფაქტორების იგნორირება და ინტეგრაციული პროცესების ცალმხრივი განვითარება.

ავტორთა მოსაზრებით: დღეს საქართველოში ჩამოყალიბდა და არაეფექტიანად ფუნქციონირებს კვაზი საბაზრო ეკონომიკური სისტემა – კონგლომერატი, მეურნეობრიობის თვისებრივად ახალი ისტორიულ-ეკონომიკური ტიპი და აქედან გამომდინარე, რადიკალურად უნდა დადგეს მისი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა. ამ მიზნით წიგნში შემოთავაზებულია არგუმენტირებული რეკომენდაციები ეკონომიკური განვითარების დაჩქარების („გარღვევის სტრატეგია“), ეროვნული ეკონომიკის სოციალური მიმართულების, მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლის მიზანშეწონილობაზე (აუცილებლობაზე).



აღნიშნული წიგნი საზოგადოებისთვის საინტერესო ბევრ საკითხზე, (მათ შორის, როგორია, როგორი შეიძლება და უნდა იყოს ეროვნული ეკონომიკა), მკითხველს სთავაზობს საყურადღებო გადაწყვეტას.

ამდენად, იგი დიდ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ სოციალური ეკონომიკის შემსწავლელთ, არამედ საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველებს.